

## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2013 წლის ანგარიში

სამთავრობო პროგრამაში გარემოსდაცვითი სფერო განსაზღვრულია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად მოხდა სამინისტროს ცენტრალური აპარატის და მის დაქვემდებარებაში შემავალი დაწესებულებების გაძლიერება. 2013 წლის მაისი თვეში გარემოს ეროვნულ სააგენტოს დაემატა ლიცენზირების დეპარტამენტი. დეპარტამენტმა 2013 წელს გასცა 410 ლიცენზია - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების. აქედან 310 ახალი ლიცენზიის გაცემა მოხდა, 100 შემთხვევაში მოხდა ლიცენზიის გადაცემა. განხორციელდა ხე-ტყის დამზადების 6 ლიცენზიის გადაცემა, ასევე 2 სასარგებლო ლიცენზიის, შიდა წყალსატევებში 1 თევზჭერის და შავ ზღვაში თევზჭერის 6 ლიცენზიის გადაცემა.

### ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი

24 საათის განმავლობაში, რეგულარულად ტარდებოდა დაკვირვებები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუმბაგოებზე; ჩატარდა თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები საქართველოს მდინარეების ზემო წელში;

ოპერატიულად წარმოებდა დაკვირვების მონაცემების კოდირება (მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად), მათი შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გავრცელება;

ოპერატიულად წარმოებდა ამინდის პროგნოზის მსოფლიო ცენტრებიდან (საფრანგეთი-ტულუზა, ინგლისი-რედინგი) გლობალური სინოპტიკური პროდუქციის (რუქები, დიაგრამები, სურათები) მიღება და ანალიზი;

ყოველდღიურად დგებოდა და ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი საერთო დანიშნულების და სპეციალიზირებული (მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად) პროგნოზები, მათ შორის გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი;

საქართველოს სამხედრო საავტომობილო გზისთვის რეგულარულად მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზირებული პროგნოზები და გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;

მუდმივად ვრცელდებოდა გაბრთხილება მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ (საანგარიშო წლის განმავლობაში გაიცა 47 გაფრთხილება);

რეგულარულად ტარდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მეთოდური ზედამხედველობის სამუშაოები. მოწმდებოდა დაკვირვებების წარმოების

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ფასდებოდა შესაბამის მონაცემთა ხარისხი. მეთოდური კონსულტაციები უტარდებოდა დაკვირვების ქსელის მუშაკებს; რეგულარულად ტარდებოდა ისტორიული და მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემთა ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მათი ხარისხის კონტროლი და სტატისტიკური დამუშავება; მიმდინარეობდა მრავალწლიური ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემების დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებების დანერგვის პროცესი; საჭიროების მიხედვით წარმოებდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელში მწყობრიდან გამოსული გამზომი საშუალებების სარემონტო სამუშაოები; დამონტაჟდა და გაიმართა 2 ავტომატური ჰიდროლოგიური საგუშაგო და 2 ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური;

## გარემოს დაბინძურების მონიტორინგი

მთელი წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ნალექების დაბინძურების მონიტორინგი, ხდებოდა დაკვირვება საქართველოს რადიაციულ ფონზე. მიღებული მონაცემებზე დაყრდნობით ხდებოდა ინფორმაციის მომზადება.

ჰაერის ხარისხის მონიტორინგი წარმოებდა ხუთ ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ზესტაფონი და ბათუმი. ხდებოდა საქართველოს მდინარეებისა და ტბების დაბინძურების მონიტორინგი. ყოველდღიურად ხდებოდა 12 მეტეოსადგურიდან რადიაციული ფონის შესახებ შემოსული ინფორმაციის შეფასება და საინფორმაციო ბიულეტენში განთავსება. შემოსულ ატმოსფერულ ნალექებში ისაზღვრებოდა 11 ინგრედიენტი; აბასთუმნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების სადგურზე მიმდინარეობდა ატმოსფერული ჰაერის და ნალექების სინჯების აღება და ოზონის მონაცემების რეგისტრაცია. მიმდინარეობდა ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი. მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ტარდებოდა ელ.მაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივისა და ხმაურის დონის გაზომვა, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის დადგენა.

წარმოებდა გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შეფასება და მიღებული შედეგები ქვეყნდებოდა ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენში “მოკლე მიმოხილვა საქართველოს გარემოს დაბინძურების შესახებ”.

## გეოლოგია

გეოლოგიური დეპარტამენტი თავის საქმიანობას აწარმოებდა ორი ძირითადი მიმართულებით: გეოლოგიური საშიშროებების მართვის და მინერალური რესურსების მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

კერძოდ, გეოლოგიური საშიშროებების პრობლემებთან დაკავშირებით:

1. როგორც ცნობილია 2013 წელს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში აღინიშნა გეოლოგიური სტიქიის ძლიერი გააქტიურება. ამასთან დაკავშირებით სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების რეგიონებში, კონკრეტულად ყოველი მუნიციპალიტეტიდან მოსული განაცხადის საფუძველზე ოპერატიულად ხდებოდა

ადგილზე სიტუაციის შეფასება. სტიქიის ექსტრემალური გააქტიურების პირობებში სიტუაციის ოპერატიული შეფასება მოხდა 239 დასახლებულ პუნქტზე, შეფასებული იქნა 1010 ოჯახის საშიშროების რისკი. საშიშროების რისკის არეალში მოქცეული ოჯახების რაოდენობიდან 352 ოჯახი დაექვემდებარა აუცილებელ გაყვანას გეოლოგიურად მდგრად ადგილზე, 500-ზე მეტი აყვანილია მუდმივი მონიტორინგის ქვეშ.

2. რეგიონალური გეომონიტორინგის ფარგლებში სამუშაოები მიმდინარეობდა მიღებული პროგრამის ფარგლებში. დამუშავდა 2012 წელს ჩატარებული რეგიონალური მონიტორინგის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და ინფორმაციული ბიულეტენის შედეგები შესაბამისი რეკომენდაციებით გადაეცა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს, რეგიონალური მართვის სამინისტროს, ადმინისტრაციული მხარეების ხელმძღვანელებს და ყველა სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. ინფორმაციული ბიულეტენი განთავსებული იქნა აგრეთვე სააგენტოს “ვებ გვერდზე”;

რეგიონალური გეომონიტორინგი განხორციელდა 10 რეგიონში – მცხეთა-მთიანეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და კახეთში.

ამჟამად მუშავდება 2013 წელს გეომონიტორინგული კვლევებით მიღებული ინფორმაცია, რომლის შედეგები საინფორმაციო ბიულეტენის სახით თებერვლის ბოლოს გადაეგზავნება ყველა დაინტერესებულ უწყებას.

3. მდ. რიონის აუზში წყალდიდობებისა და გეოლოგიური სტიქიის მართვის კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის შემუშავების პროექტის ფარგლებში დასრულდა 3 ეტაპი და პროექტის ფარგლებში დამუშავდა მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენების 732 კადასტრი ელექტრონულ ფორმატში; მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების მაპროგნოზირებელი მეტეოროლოგიური ელემენტების ისტორიული მონაცემები 16 მეტეოსადგურისათვის; დასკანერდა და დარეფერენსირდა ადრეულ პერიოდში შედგენილი მსხვილმასშტაბიანი (1:10000) საინჟინრო-გეოლოგიური და გეოლოგიური საშიშროების და რაიონების რუკები, სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის – ონის, ამბროლაურის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებისათვის 1:50000-იანი მასშტაბის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა. გაანალიზდა საქართველოში გეოლოგიური სტიქიის მდგომარეობის საერთო სურათი; გეოლოგიური სტიქიური მოვლენების განვითარების განმაპირობებელი მთავარი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და კლიმატურ-მეტეოროლოგიური ფაქტორების როლი მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების განვითარებაში მდ. რიონის აუზის სივრცეში და მათი შეფასების მეთოდოლოგია; ასევე შეფასებულია მეწყრულ-გრაციტაციული და ღვარცოფული მოვლენებით დაზიანებადობისა და საშიშროების რისკის მიხედვით ცალცალკე ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ცაგერის, წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების მიხედვით და მოცემულია გასატარებელი ღონისძიებები; დამუშავებულია მეწყრული და ღვარცოფული მოვლენებით საფრთხეებისა და საშიშროების რისკის შეფასების დარაიონების რანჟირებული რუკა 1:100000 მასშტაბში, შესაბამისი გეოლოგიური ანგარიშით.

4. შედგენილია ელექტრონულ ფორმატში ქ. თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოდინამიკური პირობების რუკა 1:25000 მასშტაბში;

5. მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების საექსპერტო დასკვნა 143 ანგარიშზე. მინერალური რესურსების მართვის მიმართულებით მომზადდა:

6. წიაღით სარგებლობისთვის წარმოდგენილ ტერიტორიებზე გეოსაინფორმაციო პაკეტი \_ 669 ობიექტზე;
7. წიაღით სარგებლობისთვის წარმოდგენილ ტერიტორიებზე ა4 ფორმატის ფერადი ტოპოგრაფიული რუკები \_ 669 ობიექტზე;
8. განსაზღვრული ფართის მქონე ნაკვეთზე სასარგებლო წიაღისეულის საბადოს არსებობისა ან არარსებობის განსაზღვრა (წიაღზე დამაგრება) \_ 642 ერთეული;
9. მინერალური რესურსების მართვის სამსახურის მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციით დაინტერესებული უწყებების უზრუნველყოფა (მათ შორის სხვადასხვა თემატური რუკებისა თუ ზოგადი ინფორმაციის მოძიება) \_ 114 ერთეული;
10. წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში დაცული ინფორმაციის მიწოდებით დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა (მათ შორის სხვადასხვა თემატური რუკებისა თუ ზოგადი ინფორმაციის მოძიება) \_ 42 ერთეული;
11. წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში დაცულ გეოლოგიურ ანგარიშებზე თანდართული გრაფიკული მასალის სკანირება და ფაილ-სერვერზე განთავსება \_ 8000 ფაილი.